სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/90

ქ. თბილისი 18 დეკემბერი 2019

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 48-ე მუხლისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-04/358 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 18 დეკემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიის განმსაზღვრელი ნორმის დამატებას და, გარდა ამისა, აუქმებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის შეზღუდვას;
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**